2019 წლის 24 იანვარს, თბილისში, საქართველოში გასამართი აქციონერთა წლიური საერთო კრების (N ასკ 19-01) დღის წესრიგი

19-01-01 საერთო კრების თავმჯდომარის და მდივნის განსაზღვრა.....1
19-01-02 ქვორუმის დადგენა.....1
19-01-03 ბანკის წესდებაში ცვლილებების შეტანა.....1
19-01-04 ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის არჩევა.....1

19-01-01 საერთო კრების თავმჯდომარის და მდივნის განსაზღვრა

საერთო კრებას გაუძღვება ბ-ნი დან ბალკე (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე).

19-01-02 ქვორუმის დადგენა

აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია და ქვორუმი შემდგარია თუ კრებას ესწრება არანაკლებ 70% აქციების მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები).

19-01-03 ბანკის წესდებაში ცვლილებების შეტანა

8.1. სამეთვალყურეო საბჭო შედგება სულ მცირე 5 (ხუთი) წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გადარჩევა/გადაყენება ხდება აქციონერთა საერთო კრების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შენიშვნა: *სს „კრედო ბანკის“ წესდება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში ითვალიწინებს წევრთა კენტ რაოდენობას. ვინაიდან, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში წევრთა კენტ რაოდენობაზე მითითებას 2017 წლიდან აღარ ითვალისწინებს, აუცილებელია წესდების ზემოაღნიშნულ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.*

8.13.(5) უძრავი ქონების და მასთან დაკავშირებული საკუთრების უფლებების შეძენა, გადაცემა და უფლებრივად დატვირთვა, თუ ასეთი ოპერაციები სცილდება ბანკის ყოველდღიური ეკონომიკური საქმიანობის სფეროს და თუ ასეთი ოპერაციების მოცულობა აჭარბებს 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარს.

8.13.(6) ფინანსური სახსრების მოზიდვა თუ ეს სცილდება ბანკის ყოველდღიური ეკონომიკური საქმიანობის სფეროს და თუ ასეთი სესხის მოცულობა აჭარბებს 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარს.

შენიშვნა: *ცვლილებების შეტანა გამოწვეულია ბანკის ყოველდღიური ბიზნეს საქმიანობის პროცესში მაღალბიუჯეტიანი გადაწყვეტილებების მიღების სიმრავლით.*

9.1.2. დირექტორთა საბჭო შედგება სულ მცირე 3 (სამი) წევრისაგან. საბჭოს წევრების არჩევა და გადარჩევა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. დირექტორთა საბჭოს წევრების წარდგენისა და არჩევის წესი დგინდება წინამდებარე წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შენიშვნა: *2018 წლის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის კოდექსით, რომლის მოთხოვნებთან შესაბამისობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრისა, კომერციული ბანკს უნდა ჰყავდეს რისკების დირექტორი, რის გამოც, ბანკის დირექტორთა საბჭოში შესაძლოა საჭირო გახდეს ახალი წევრის დამატება.*

19-01-04 ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის არჩევა

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად არჩეულ იქნეს ბატონი ანდრეი პოსპილოვსკი.

შენიშვნა: *სამეთვალყურეო საბჭოში დამოუკიდებელი წევრის არჩევა ხორციელდება კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში 2017 წელს შეტანილი ცვლილების საფუძველზე.*

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2018.12.27 15:40:01 +03'00'